განკარგულება:**g-81.81222507**
თარიღი:**07/09/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №42

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 ნაწილის და საქართველოს კანონის ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი‘‘ 85-ე მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ინფორმაცია ცაგერის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ მიღებულ იქნას ცნობად. /დანართი თან ერთვის/.

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ:
   ა) უზრუნველყოს 2022 წლის წლიური ბიუჯეტის შესრულება, როგორც შემოსულობების ისე ხარჯვით ნაწილში.
   ბ) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ათვისებას, აგრეთვე მის დროულად და ხარისხიანად შესრულებას.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი